პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 20 კაპ.

ОТДЕЛ ЦК КП(б)Г

ГОСУДАРСТВЕННАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА

ГРУЗИНСКОЙ ССР

ГАМОМცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 14 მარტი, 1950 წ. № 57 (8617).

საბჭოთა დემოკრატიის ფრიუმფი

საბჭოების ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებში მილიონობით ადამიანი უდიდესი პოლიტიკური აღმავლობისა და განსაკუთრებული ერთსულოვანების ვითარებაში იზეიმებდა გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

მთელ ჩვენს დიდ საშობლოში არჩევნებმა ჩაიარა, როგორც სასიხარულო საყოველთაო-სახალხო ზეიმმა.

დიდი სტალინის სახელით, კომუნისტების და უპარტიოების ერთვეულ სტალინურ ბლოკად დარაზმულნი, მიდიოდნენ საარჩევნო ყუთებთან მუშები, კოლეკტიურები და მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მუშაკები, სხვადასხვა თაობისა და პროფესიების ადამიანები, ამაყნი თავიანთი სოციალისტური საშობლოთი, მისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით.

საბჭოთა ადამიანები, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, ხმას აძლევდნენ ჩვენს სოციალისტურ საშობლოს, ბოლშევიკების პარტიას, დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. ამ საზეიმო დღეს მთელი საბჭოთა ხალხის თვალი მიპყრობილი იყო მოსკოვისადმი, სტალინის საარჩევნო ოლქისადმი, სადაც ერნეს იყრიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რომლებიც განსაკუთრებული აფოროვანებით აძლევდნენ ხმას დიდ სტალინს, მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავდნენ.

— ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ და ვმუშაობ იმ რაიონში, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს,—განაცხადა გუშინ მოსკოვის საინსტიტუტმენტო ქარხნის მუშამ ალექსი მაკაროვმა, როცა საარჩევნო ბიულეტენს ყუთში უშვებდა. — ხუთწელედან დაწყებიდან 22 წლიერი ნორმა შევასრულეთ. არჩევნების აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტაზე დავდგე და ორ თვეში 9 თვის ნორმა შევასრულე. მსურს-უკეთესად ვიმუშაო, რათა ჩვენი საშობლო უფრო ბედნიერი და მდიდარი იყოს. სულითა და გულით მადლობას უძღვნით იოსებ ბესარიონის-ძეს მშობიელ ადამიანზს ზრუნველობისთვის.

ინჟინერმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ელადიმერ ალეკსანდროვიჩ ზმნის მიცემის შემდეგ განაცხადა:

— დღეს წლად მხვდა ბედნიერება ჩვენს საარჩევნო უბანში პირველს მიმეცა ბიულეტენი, რომელშიც ეწერა დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი. მოწიწებით ავიღე ხელში ეს დოკუმენტი, რომელიც ეუფლებას ანიჭებდა ერთხელ კიდევ გამოვთქვა ჩემი უსაზღვრო ხდომა, ჩემი ერთგულება და სიყვარული ჩვენი დიდი ბელადისადმი. სტალინი ჩვენი ფიდერა, ჩვენი სიამაყეა.

— საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად ერთ რამეს ვიტყვი: გაუმარჯოს ჩვენს შშობლიურ სტალინს, მას მოაქვს ახალი ბედნიერი გაზაფხული — გაზაფხული ქვეყანაზე და ხალხის ცხოვრებაში! — თქვა დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემისას პოლტაველმა კოლმეურნემ თომა შიანმა.

საყვარელ სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ოდგანის ბედნიერების გენიალურ შემოქმედს, პირველ საყოველთაო-სახალხო დეპუტატს — დიდ სტალინს, ხალხთა ერთვეულ სტალინურ მეგობრობასა და ძმობას, შშვიდობას მთელ მსოფლიოში, კომუნიზმის შშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს განხორციელებას განსაკუთრებული ერთსულოვნებით მისცა ხმა საბჭოთა ხალხმა — დეკემბრიდა, გამარჯვებულმა ხალხმა, შემოქმედმა — მთაგორგებელმა ხალხმა.

უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიდიქცა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ახალ ტრიუმფად, თავისი შობლიური ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად.

ამმარჩევნელთა მრავალმილიონიანი მასების ესოდენ მაღალი აქტიურობა, ორგანიზებულობა და შეგებულობა, რომლებიც 1950 წლის 12 მარტს გამოვლინდა, არა იხსოვდა და არ იხსოვს არც ერთი სახელმწიფოს მსოფლიოში.

1950 წლის 12 მარტის დღემ მთელი მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა საზოგადოების ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთან კომუნისტური პარტიის განყოფილება კავშირი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა იმ თვალსაზრნო წარმატებათა პირობებში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ომისშემდგომი ხუთწლიანი ვადაშდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში დასახა ამოცანა — აღგვედგინა ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღგვედგინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ამ დონისათვის გადაგვეჯობებინა ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა ეგრეთვე ძეორე დიდი ამოცანის მნიშვნელობა—აგვეაღლებინა საბჭოთა კავშირის მშრომელთა საარსებო დონე.

ახლა ყველა ხედავს, რომ ეს ამოცანები წარმატებით გადაჭრილია. კეთილობიერმა დაუფიფებელი მტრის ½- ფაშიზმის წინააღმდეგ ამაყნინანდელი ბრძოლების ადგილებზე, იმ ადგილებზე, რომლებიც ცოტა ხნის წინათ სულ ერთიანად გადაბუგული იყო დამპყრობთა მიერ, ნაგვრეგებსა და ფეოფლნაკლავ ალიმპონის ფაბრიკები, ქარხნები, ქალაქები და სოფლები. ზოგპრული დევგმირიანი კვლავ ამაყად დგას ბევრი ქალაქი სტალინგრადი. უფროო ტაფიო ოდენ კაბაშეს დნეპრპეტროს ელექტროშუბი. დონბასის შახტები და ეტალურგიული ქარხნები კვლავ აძლევენ ჩვენს საშშობლოს ქვანახშირსა და ლითონს. გეგამტეკი ტუფსაცავი ზოლებმის მუშაზე სარტყელი ჩნდება დადამიწის ულდიდეს სიგრეცეზე. ადგილ-ადგილი ადგილ-ადგილ ამუშავებულია ათასობით დიდი სამრეწველო საწარმო, რომლებიც შეიარაღებულია უადრესად მოწინავე ტექნიკით. მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია წარმოების ოთხმდელი დონე. ამაოლდა საბჭოების ჩვენი დიდი ქვეყნის შშრომელთა საარსებო დონე.

სასიხარულოა ცხოვრება და შრომა ადამიანისათვის საბჭოთა მიწაზე! სასიხარულოა იმის შეგებება, რომ უბრალო ადამიანი — მშრომელი ჩვენს ქვეყანაში გარემოცულია შშობლიური საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიისა და საყვარელი ბელადის უდიდესი მზრუნველობით.

კომუნისტურ პარტიასა და დიდ სტალინს უნდა უმადლოდნენ საბჭოთა ადამიანები ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის, სადაც არ არის ექსპლოატაცია, ადამიანის ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი დამონება, სადაც ადამიანები სამუდამოდ განთავისუფლებული არიან უმუშევრობისა და სიღატაკის საშინელებისაგან, ისეთი საზოგადოებრივი წყობიერების შექმნის, სადაც მოქალაქეები და ხალხები ცხოვრობენ ძმური თანამშრომლობითა და ურთიერთ მეგობრობით!

დიადი შემოქმედების პათოსში საბჭოთა ადამიანები ხედავენ დიდი ბელადის გენიალური იდეების რეალურ განხორციელებას.

კომუნიზმის ცოცხალი ნიშნები სულ უფრო მკაფიოდ ელინდება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც რწმენით მიდის წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდების ამაღლებაში საბჭოთა ქვეყნის ყველა შშრომელი ხედავს თავისი შრომის, თავისი მეზობლისა და შთაგონების ნაწილს, ხედავს თავისი სანუკვარი მისწრაფების შესრულებას — ძაიდწეოს დიდ მიზანს, როგორც დასახეს კომეხნიტურმა პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა.

დიადი მაგალითი საბჭოთა კავშირის ხალხებისა, რომლებმაც სამუდამოდ მოიშორეს მემამელურ-კაპიტალისტური მონობის ეუღელი, აამენეს სოციალიზმი და რწმენით მიდიან კომეუნიზმის გზით, მთელი მსოფლიოს ხალხებს აღაფრთოვანებს. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა საშშობლომ პირველმა გაკაფა გზა, რომელზე წინასელითაც ყველა მეგალეთ შშრომელებს შეუძლიათ სამუდამოდ მოეცალონ ბოლო ექსპლოატაციის, დამონების, ეროვნულის, ეუმუშევრობას, ომებს, შიმშილს, სიღატაკესა და კაპიტალისტური წყობიერების სხვა საშინელ თანმდგზავრებს. ამ ერთადერთ სწორ გზას დაადგენენ სხვა ხალხები დემოკრატიის ქვეყნების შშრომელნი ეკოროპასა და აზიაში. საბჭოთა კავშირი არის ცენტრი ძმადაკი საერთაშორისო დემოკრატიული ბანაკისა, რომელიც აერთიანებს ყველა სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოს.

1950 წლი 12 მარტს მილიონობით საბჭოთა ადამიანმა ხმა მისცა ბრძნულ სტალინურ სგაარეო პოლიტიკას, ხალხთა შორის მტკიცე შშვიდობას, იმას, რომ გადავთოდეს და განმტკიცდეს შშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ფრონტი.

საბჭოთა ადამიანები თავისი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და დიდების ამაღლებაში ხედავენ პარტიის გეგანტური მუშაობის ფიდი ნაყოფს, პარტიისა, რომელსაც ასულდამეულებს და წარმართავს სტალინის გენია.

ძმლავრი საბჭოთა ხალხი ისეა დარაზმული, როგორც არასოდეს არ ყოფილა. ეგი შშობლიური სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით რწმენითია და სიმხნეეთი შესცქერის მომავალს, რწმენითია და მტკიცეი მიდის ჩვენს ქვეყანაში კომეუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

„პრავდის“ 13/III მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა არჩევნების შედეგების შესახებ

ივნისს, 1950 წლის 12 მარტს, მთელ საბჭოთა კავშირში ჩარმოდდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

ხმის მიცემა ყველგან დაიწყო დილის 6 საათზე ადგილობრივი დროით. 12 მარტს ღამის 12 საათზე ხმის მიცემა ყველგან დამთავრდა.

ყველა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 111.008.625 ამომრჩეველი ნაცვლად 101.717.686 ამომრჩეველისა, რაც 1946 წლის არჩევნებში იყო. საოლქო საარჩევნო კომისიების ცნობების თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ახლანდელ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 110.964.172 ამომრჩეველმა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,96 პროცენტმა.

13 მარტს განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისიებმა დაამთავრეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების დათვლა.

საოლქო საარჩევნო კომისიების ცნობებით, დეპუტატობის კანდიდატთა სიიმ, რომელიც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა წამოაყენა, სრული და განუყოფელი გამარჯვება მოიპოვა. წინასწარი ცნობების თანახმად, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა 99 პროცენტზე მეტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მთელ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებისა და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შესანიშნავი დემონსტრაცია იყო.

1950 წლის 15 მარტს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შესაძლებლობა ექნება გამოაქვეყნოს არჩევნების დაწერილებითი შედეგები და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა პერსონალური სია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

13 მარტი, 1950 წ.

ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქი

ხმის მიცემის პირველ საათებში

ოქროს ასოებით ჩაიწერება დიადი სტალინური ეპოქის მატიანეში ეს დირსშესანიშნავი დღე. სიხარულის ძალელვარების გრძნობით ელოდა მას, როგორც დიდ მრწყინვალე დღესასწაულს, ჩვენი საშობლოს ყველა შრომელი.

დედაქალაქის მოედნები და ქუჩები სადღესასწაულოდ არის მორთული. წეოელ ტალღებზე წარეწერილია საკავშირო კომენისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი.

დედაქალაქის მოლოტოვის საარჩევნო ოლქში არარეულებრივი გამოცოცხლებაა. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ენენს ყოველ დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები — გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი კავშირის საბჭოთა ეროვნებათა საბჭოში.

ბალოტოვი ბოლშევიკური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პარტრეტები. საბჭოთა ხალხის მეგობრისა და ხელმძღვანელისადმი ამხანაგ სტალინისადმი მიპყრობილია ყველა ადამიანის ფიქრები და გრძნობები.

მუსიკის ხმა, რომელიც ყოველი მხრიდან მოისმოდა, სიხარულით გაბრწყინებულები სახეები, საყოველთაო გამოოცხლება და აღმავლობა მეტეორეულად მოწმობდა, რომ არჩევნების დღე ნამდვილი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იყო.

...დილის 6 საათზე № 56 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ ტ. ვ. სოკოლოვამ ამომრჩეველს მიეწოდა ბიულეტენი, სახეთმოდიმარი ადამიანები — დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი რაიონის, ლენინგრადის რაიონის, ლენინგრადის ოლქის ამომრჩეველები. ხმის მიცემის პირველ საათებში აქ მოვიდნენ სულ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, გაერთიანებულნი საამაყო-ლამაზი, ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულის ძხეტიანალ გრძნობით.

ყუთში ბიულეტენებს უშვებს სრული შემადგენლობით მოსული ლაპინსკების ოჯახი—ვერა ანტონის ასული, სტალინის სახელობის მოსკოვის ავტომქარხნის მუშა, დედამისი ალათია მელეს ასული, რომელსაც გმირი დედის წოდება აქვს მინიჭებული, ძმა ალექსანდრე, ინჟანერა ბიბლიოთეკარი, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას ხმის მიცემაში.

ხმის მიცემის პუნქტიდან რომ გამოვიდა, ვ. ლაპინსკაია თქვა:

— ჩვენ მოვისმინეთ ამხანაგ მალენკოვის სიტყვა ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1950 წლის 9 მარტს. რა ბევრი რამ ითქა ამ კეთილებენ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ადამიანების ხელთ, შშობლიური სტალინის ხელმძღვანელობით!

№ 58 საარჩევნო უბანში ამომრჩევლებს ბულეტენად შეზიდა საუბნო კომისიის თავმჯდომარე ა. ა. მაკაროვი. ხმის მიცემაში მონაწილობის მისაღებად აქ მოვიდნენ ლენინგრადის რაიონის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მუშაკები. მათ შორის ბეერი ეყენენ ფაბრიკა „ბოლშევიკის“ სტახანოველები.

ამ დღეს ამომრჩეველები თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შემდეგ ერთმანეთს უზარიბდნენ შობიეტ ელექტებს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატის ამხ. ვ. მ. მალენკოვის სტატეკის შესახებ. და ყველას ნათქვამში ერთი აზრი იყო, ის აზრი, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ საბჭოთა ხალხი ძიიყვანა უდიდეს წარმატებებამდე, რომ მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის კომეუნიზმისაკენ.

შშრომელთა შორის, რომლებმაც ძლიერ პირველ საათებში მისცეს ხმა, იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირი, უკანსკნელი კურსის სტუდენტი ვ. სოსინი, სტახანოველი ამხ. ტიმოფეევი, რომელმაც არჩევნების აღსანიშნავად თავისი ეეიერი დავალება 183 პროცენტით შეასრულა.

ამმარჩეველმა ა. მირონოვამ ამ ღღეს წერილი გამოხატა თავისი პატრიოტული გრძნობებში:

— ბედნიერი ვარ,—წერს იგი,—რომ ხმას ვაძლევ საყვარელ დედაქალაქ მოსკოვში. ჩემი ბული ოღსავსეა სიყვარულით ჩვენი მთავრობისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. მან გამოგვიყანა საამური ცხოვრების ნათელ ეზაზე.

(საკენსი).

ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქი

საბჭოთა ხალხი თავის ნება-სურვილს გამოთქვამს

ჯერ კიდევ არ ამოსულიყო მზე, რომ ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ასობით ამომრჩეველი გეგმათა საარჩევნო უბნებისაკენ, რათა მოეხდა თავიანი მოქალაქეობრივი ვალი. ამ ოლქში კენჭს ეყრიან ამხ. გ. მ. მალენკოვის კანდიდატურას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში და ნ. ა. ბულგანინის კანდიდატურას ეროვნებათა საბჭოში.

შენობებზეა ბოლშევიკური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტები. საბჭოთა ხალხის მეგობრისა და ხელმძღვანელისადმი ამხანაგ სტალინისადმი მიპყრობილია ყველა ადამიანის ფიქრები და გრძნობები.

მუსიკის ხმა, რომელიც ყოველი მხრიდან მოისმოდა, სიხარულით გაბრწყინებულები სახეები, საყოველთაო გამოოცხლება და აღმავლობა მეტეორეულად მოწმობდა, რომ არჩევნების დღე ნამდვილი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იყო.

...დილის 6 საათზე № 56 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ ტ. ვ. სოკოლოვამ ამომრჩეველს მიეწოდა ბიულეტენი. ეს ეი ორიან № 44 სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეები ნიკოლოზ ლუბეკინი, მაკარ ზაკალოვი, ნიკოლოზ ხოხოლევი. ისინი პირველი სტალინური ხუთწლედის წლებში დაიბადნენ. სამშობლო მზრუნველობით ზრდის მათ. მან ამ ახალგაზრდებს მისცა დიდი ცხოვრების საგზური, და ამიტომ ისინი მტკიცე რწმენით გეგეგმიან ბრწყინვალე მომავალს.

ხმის მიცემის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მოდიოდნენ ადამიანები № 8 საარჩევნო უბანში. ისინი ერთმანეთს უზარიბდნენ თავიანთ შთამეეეტლებებს, ფიქრობა და აზრებს, რომლებიც მათ ალელვებდა ამ ზარებს, რომლებიც მათ ალელვებდა ამ ზარებს.

ამ პუნსონერთა ჯგუფში, რომელიც № 2 საარჩევნო უბანში მისცეს ხმა, წერილი გაეგზავნა ამხანაგ სტალინს.

„ჩვენ ძმობლიერო, საყვარელო მამავ და მასწავლებელო ოსიან ბესარიონის-ძეკ,—სწერენ ისინი.—ეთხოვთ მიიღოთ ჩვენი ბოლოკავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დიდ ღღეს. ვისურვებთ მრავალ წელს ჯანმრთელობას ჩვენი საყვარელი და უძღვანელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. სულით და გულით გამაცლობთ ჩვენდამ, პუნსიონერებისადმი, ზრუნვისა და ყურადღებისათვის“.

მეტროსტროის კულტურის სასახლის საუცხოო დარბაზში მოთავსებულია № 13 საარჩევნო უბანი. აქ ხმას აძლევენ ელკარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის მუშა ქალები.

მიღელტენი პირველმა მიიღო სტახანოველთა მარიამ მიზნიკოვამ. იგი ღირსეულად შეხვდა არჩევნების ღღეს, ყოველდღიურ დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებდა.

— ამხანაგმა მოლოტოვმა თავის სტატიაში ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რაც ჩვენმა ხალხმა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე გასწია. მე განსაკუთრებით მიხარია ამ სიტყვების მოსმენა. ამ დიდ საქმეში ხომ ჩემი მცირეული წვლილიც არის,—თქვა მარიამ, როცა გამოვიდა შენობიდან, სადაც ხმის მიცემა მიმდინარეობდა.

ხმის მიცემა ერთსულოვნად დაიწყო დედაქალაქის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ყველა საარჩევნო უბანში. (საკენსი).

განვამტკიცოთ და განვავითაროთ არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული ნარმატებანი!

ახალი კონსტრუქციის მანქანები

თბილისის ორკონტაქტის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანა ბევრის პირველად დამუშავების 45 სახის მანქანას აშზადებს, მათ შორის გაზეუწყვეტელი მოქმედების მძლავრ ავტომატი წნეხს, რომელიც სათში 10-15 ტონა ყუოძენს წნეხავს. აქვე აყეფიებენ მანქანებს ჩაისა და თამბაქოს მოწეწილობისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ქარხნის კოლექტივი მუშაობდა ახალი კონსტრუქციის სამი მანქანის წარმოების ათვისებაზე, მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გაადიდა პროდუქციის გამოშვებამ. იანერისა და თებერვლის გეგმა მანქანათმშენებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს, ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა მარტის 11 დღის გეგმა.

ქარხნის წარჩინებულმა სტახანოველმა მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითები გვიჩვენეს. მარტის პირველ დეკადაში განსაკუთრებით დაწინაურდა სტახანოველი ს. კუდეხოვი, რომელმაც სამანქანო დეტალების გაჩარხვის დავალება სამმაგად გაანაღდა. ხარატმა ვ. ამირგალეევმა და მეფაღლეებ ხ. სუხომა გეგმა 250 პროცენტით შეასრულეს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ნიმუშები

ბაუშენი. (საკ. კორ.). არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხაშერის საწარმოთა მოწინავე სტახანოველებმა შრომის ნაყოფიერების ზრდის შესანიშნავი ნიმუშები მოგვცეს. მაგალითად, საელმავლო დეპოს შემფუთველმა ა. ქურდამემ ნაკლისა და თებერვლში 5 თვის საწარმოო დავალება შეასრულა. ხარატმა ნიკო ნოზაძემ იმავე ორ თვეში 4 თვის გეგმა გაანაღდა, ზეინკლებმა ი. დავითაძემ და ს. პაპუაშვილმა თვითეულმა — 3 თვისა და ა. შ.

სუფეთესოდ მუშაობენ ძმიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატები ლენინელი მემანქანეები ი. ნემსაძე, ი. ლაბაძე, მ. ხიჩაკაძე, კ. დიდებულიძე და სამეზავრო მატარებელთა მემანქანეები ა. მანჯავიძე და ს. ელისაშვილი. იანვარ-თებერვალში მათ არ ჰქონიათ გრაფიკის დარღვევის არცერთი შემთხვევა და ამასთან ტერეოზიდის გეგმა გადაკრიბეთ შეასრულეს.

შეჯიბრებაში გამარჯვებული მშენებლები

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის მეორე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი კ. ლორთქიფანიძე) გეგმა სულ წლის დავალება 123 პროცენტით შეასრულა. აქ განსაკუთრებით ძალაა მიჩვენებელმა მიაღწიეს მეოთხე კვარტალში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კვარტალური გეგმა შესრულებულია 127 პროცენტით. ამ ღღეებში მშენებლობის კოლექტივმა მიიღო ცნობა, რომ საკავშირო პროგრამაში და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ განიხილეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგები და ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მიაკუთვნეს პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

პირველი საკონსერვო ქარხნებს შორის

ბოლი. (საკ. კორ.). ბორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა, საბჭოთა კავშირის საუსნერეო ქარხნებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და მიიღო საამაყო ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქარხნის კოლექტივმა მტკიცედ დადაწყვიტა კიდევ უფრო გაეძლიერებინა მეშაობის ტემპი 1950 წლის მანძილზე პირველი საკავშირო ადგილის შესანარჩუნებლად.

ბორი. (საკ. კორ.). ბორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა, საბჭოთა კავშირის საუსნერეო ქარხნებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და მიიღო საამაყო ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქარხნის კოლექტივმა მტკიცედ დადაწყვიტა კიდევ უფრო გაეძლიერებინა მეშაობის ტემპი 1950 წლის მანძილზე პირველი საკავშირო ადგილის შესანარჩუნებლად.

ზაჩიან ქსოვილების გამოშვებას, ამცირებენ ნარჩენებს

თბილისის აბრეშუმსაქსოვაი ფაბრიკამ წლის დასაწყისიდან 12 მარტამდე გეგმის დავალებათ 3.400 მეტრ ქსოვილი გამოშვება და ამავე დროს ნახევწი, რაც აბრეშუმის ქსოვის საქმეში ერთ-ერთ მთავარ ნარჩენად ითვლება, შეამცირა 0,2 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივის ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით ისახელეს თავი მ. კოკოევის და ა. ჩაჩატურიანის ბრიგადებმა. ამხ. კოკოევის ბრიგადამ 12 მარტისათვის იანვარ-თებერვლის და მარტის პირველი დეკადის გეგმა 118,8 პროცენტით გაანაღდა, ამავე დროს გეგმასთან შედარებით 28 პროცენტით მეტი პირველხარისხოვანი ქსოვილები მოგვცა. ასევე კარგი მაჩვენებლები მოიპოვა ამხ. ჩაჩატურიანის ბრიგადამაც.

მქსოველთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ კ. ფრთაშვილი, რომელმაც გეგმა 145 პროცენტით შეასრულა, ეკატერინე მეხრაძე (142,6 პროც.) და ნინო ჩიტაძე (137 პროც.). ძაფის მბრეველთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ს. თოხაძეს, რომელმაც ორი თვისა და ათი დღის გეგმა 148 პროცენტით გაანაღდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ქ. მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1950 წლის 10 მარტს

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოგახსენოთ იმ ნდობისათვის, რომელიც გამიწიეთ როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თქვენს კანდიდატს. (ტაში).

ჩემთვის აღმოჩენილ პატივს მე უწინარეს ყოვლისა მივაკუთვნებ იმ ნდობას, რომლითაც გამსჭვალულია თქვენი დამოკიდებულება ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიისადმი და მისი უსაზღვროდ ერთგული კომუნისტებისადმი. (ტაში).

ისევე როგორც წინათ, მომავალშიც მზად ვარ პატიოსნად და ბოლომდე შევასრულო ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ნება, მთელი ჩემი ძალები მოვახმარო ჩემს სამშობლოს მისი აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო!

ახლანდელი საარჩევნო კამპანია შესაძლებლობას იძლევა გადავხედოთ იმას, რაც საბჭოთა კავშირში გაკეთდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან განვლილ წლებში.

ოთხი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა, ილაპარაკა რა ომისშემდგომ პირველ ხუთწლედზე, ხაზგასმით აღნიშნა ორი ძირითადი ამოცანა. მან დაგვისახა, უწინარეს ყოვლისა, ამოცანა — აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. მან ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე მეორე ამოცანის დიდი მნიშვნელობა — ავამაღლოთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა საარსებო დონე, დაგვისახა რა საბარათო სისტემის გაუქმების, ფართო მოხმარების საგნების წარმოების ყოველმხრივ გაფართოების, ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრობით შემცირების მტკიცე კურსი. სწორედ ეს ამოცანები დაედო საფუძვლად პირველ ომისშემდგომ ხუთწლედს. თქვენ ახლა ხედავთ, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს ამოცანები.

სსრ კავშირის იმ რაიონების აღდგენას, რომლებიც ოკუპანტებმა დაანგრიეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. საკმარისია ითქვას, რომ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ომამდე მზადდებოდა მთელი სამრეწველო პროდუქციის მესამედი, ხოლო ამ ტერიტორიის ნათესი ფართობი ჩვენი ქვეყნის ნათესი ფართობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. ამ რაიონების აღსადგენად გაჩაღებულმა მუშაობამ უკვე საკმაო შედეგები მოგვცა.

რაც შეეხება მთლიანად სახალხო მეურნეობას, ყველა მის ძირითად დარგში ჩვენ არა თუ მივაღწიეთ, არამედ კიდევაც გადავაჭარბეთ ომამდელ დონეს.

სოფლის მეურნეობაში საერთო პროდუქციის ომამდელი დონე შარშან იქნა გადაჭარბებული. უკვე 1949 წელს მარცვლეული კულტურების, ბამბის, სელის, მზესუმზირას, კარტოფილის საერთო მოსავალი, აგრეთვე კოლმეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის, — სულადობა სჭარბობდა ომამდელი საუკეთესო წლის დონეს. ახლა მარცვლეულის პრობლემა გადაწყვეტილია. ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ პურით, აგრეთვე გვაქვს საჭირო მარაგი. მეცხოველეობის განვითარების შარშან მიღებული სამწლიანი გეგმის შესრულება გამოიწვევს ხორცის, ერბო-კარაქის, კვერცხის, რძის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების ისეთ გადიდებას, რომ ეს შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მომარაგების გადიდება 1951 წელს, 1948 წელთან შედარებით, ერთნახევარჯერ მაინც.

თავის მხრივ სახელმწიფო ახორციელებს სერიოზულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გასაძლიერებლად. მაგალითად, სოფლის მეურნეობამ მარტო 1949 წელს 3-4-ჯერ მეტი ტრაქტორები, ავტომობილები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები მიიღო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჩვენი კოლმეურნეობები, რომელთა რიცხვი 254 ათასს უდრის, მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ, რომ ახლა არის ბევრი სანიმუშო საკოლმეურნეო მეურნეობა მაღალი მექანიზაციით და შრომის ნაყოფიერებით, ხოლო კოლმეურნეთა შორის იზრდება მოწინავეთა—ორდენოსნებისა და სოციალისტური შრომის გმირთა მრავალათასიანი რიგები.

ჩვენმა მრეწველობამ უკვე 1948 წელს არა მარტო მიაღწია, არამედ გადააჭარბა კიდეც ომამდელ დონეს. 1949 წელს ომამდელი დონე გადაჭარბებული იყო 41 პროცენტით, რაც უახლოვდება ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებულ 48 პროცენტს, ხოლო შარშან მეოთხე კვარტალში ჩვენმა მრეწველობამ გადააჭარბა იმ დონესაც, რომელიც დასახული იყო ხუთწლედის მეხუთე წლისათვის, ესე იგი მიმდინარე წლისათვის. თუ რევოლუციამდელ 1913 წელს რუსეთის მთელი მრეწველობა იძლეოდა 16 მილიარდი მანეთის პროდუქციას, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის მარტო **ზრდა** აღწევდა 32-34 მილიარდ მანეთს, ესე იგი ერთიორად სჭარბობდა რევოლუციამდელი **მთელი** მრეწველობის საერთო პროდუქციას.

ომის შემდეგ განვლილი ოთხი წლის მანძილზე აგებული, აღდგენილი და ამუშავებულია 5.200 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, წვრილი საწარმოების ჩაუთვლელად. ამ საწარმოებში ახლა მუშაობს დაახლოებით მილიონნახევარი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. ჩვენი მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა, ვთქვათ, შარშან, თითქმის ერთიორად აღემატებოდა ომამდელი საუკეთესო წლის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას. წლითი-წლობით იზრდება ჩვენი მშენებლობა. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა მრეწველობის შემდგომი და კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობა უზრუნველყოფილია.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა მრეწველობის შემდგომი აღმავლობისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მოიცავს ახლა მეტ წილ მუშებს, ოსტატებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს, რომ ჩვენს საწარმოებში იზრდება წარმოების შესანიშნავ ნოვატორთა რიცხვი, რომ მტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების თანამეგობრობა, დამყარებული საბჭოთა მეცნიერებისა და მოწინავე მუშებისა და ინჟინრების ერთობლივ მუშაობაზე, რომ ასეთი საზოგადოებრივი მოძრაობა სულ უფრო მეტად მოიცავს მრეწველობას და ტრანსპორტს, აგრეთვე სოფლის მეურნეობას.

ამრიგად, სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგში ჩვენი ქვეყანა წარმატებით მიდის წინ, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს ამხანაგ სტალინის მითითებებს და ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის დავალებებს. (ხანგრძლივი ტაში).

არა ნაკლები წარმატებით სრულდება ამხანაგ სტალინის მიერ წარსული საარჩევნო კამპანიის დროს დასახული მეორე ამოცანაც.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების საქმეში ჩვენ ამ ოთხი წლის მანძილზე დიდი მიღწევები გვაქვს. ბარათების გაუქმებასთან ერთად დაიწყო ფართო მოხმარების საქონლის ფასების შემცირების პოლიტიკის განხორციელება. საქონლის ფასების შემცირებამ 1947 და 1949 წლებში მოსახლეობას მისცა 157 მილიარდი მანეთი ეკონომია წელიწადში. უკვე შარშან უმნიშვნელოვანესი საქონლის სახალხო მოხმარებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით 1 მარტს ჩატარდა მოსახლეობისათვის ყველაზე საჭირო უდიდესი რაოდენობის საქონლის ფასების მესამე შემცირება. ამასთან პურის, ხორცის, ერბო-კარაქის ფასების შემცირება აღწევს 25-30 პროცენტს, ქსოვილებისა და ფეხსაცმლისა—დაახლოებით 15-20 პროცენტს, ხოლო ზოგიერთი საქონლისა—40-50 პროცენტს. საკოლმეურნეო ბაზარზე და კოოპერაციულ ვაჭრობაში ასეთ პირობებში ფასების აუცილებელ შემცირებასთან ერთად ფასების უკანასკნელი შემცირება მოსახლეობას აძლევს მოგებას წელიწადში სულ მცირე 110 მილიარდ მანეთს. ეს იმის შედეგია, რომ ფასების შემცირება ჩვენს ქვეყანაში ხდება ხელფასის მიღწეული დონის შენარჩუნების პირობებში, აგრეთვე პენსიებისა და სტიპენდიების ოდენობის შენარჩუნების პირობებში და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დამზადების სახელმწიფო ფასების უცვლელობის პირობებში.

გამოქვეყნებული ცნობებიდან ახლა ვიცით, რომ 1949 წელს 1940 წელთან შედარებით მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავალი 24 პროცენტით გადიდდა. გლეხების შემოსავალი ამავე ხნის განმავლობაში 30 პროცენტით და მეტით გადიდდა. მთლიანად სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1949 წელს 36 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირების შემდეგ, რაც 1 მარტიდან განხორციელდა, კვლავ მნიშვნელოვნად გადიდდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდება სამრეწველო საქონლის შესყიდვაზე გლეხების ხარჯები. ფასების შემცირებასთან ერთად სერიოზულად გაიზრდება მანეთის მყიდველობითი ძალა და გაუმჯობესდება მისი კურსი დოლარის, გირვანქა სტერლინგის და უცხოეთის სხვა ვალუტების კურსთან შედარებით. და ეს იმ დროს, როცა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, საქონლის ფასების ზრდის გამო წლითი-წლობით მცირდება მუშათა ხელფასი, როცა მარტო შარშან ამერიკელ ფერმერთა შემოსავალი 17 პროცენტით შემცირდა, როცა ამ ქვეყნების ვალუტები სულ უფრო და უფრო ეცემა.

ამის შემდეგ გასაგები იქნება, თუ რატომ აუარა დუმილით გვერდი ამერიკისა და ევროპის ბურჟუაზიულმა პრესამ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას სსრ კავშირის 1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესანიშნავი შედეგების შესახებ. გასაგებია ისიც, თუ რატომ დაიბნა ასე პრესა და მიმართავს სხვადასხვა ულამაზო ხერხებს თავის ცნობებში ჩვენს ქვეყანაში ფასების ახალი შემცირების შესახებ, ყოველმხრივ ამახინჯებს მშრომელთათვის ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ნამდვილ აზრს. ბურჟუაზიულ და მლიქვნელურ ცრუსოციალისტურ პრესას, როგორც ჩანს, ეშინია ილაპარაკოს იმ ფაქტებზე, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, თუ რა მძლავრი აღმავლობის გზაზეა საბჭოთა კავშირი. (ტაში).

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა და უწინარეს ყოვლისა მისი წამყვანი ძალა — სოციალისტური ინდუსტრია, წლითი-წლობით იზრდება, საბჭოთა სახელმწიფოში დამკვიდრებული სოციალისტური მეურნეობის განუწყვეტელი აღმავლობის კანონის შესაბამისად. ამასთან ერთად განუხრელად იზრდება მშრომელთა კეთილდღეობა, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ძირეულად განასხვავებს კაპიტალიზმის ბანაკის ყველა ქვეყნისაგან. მშრომელთა საარსებო დონის განუხრელი აღმავლობა ეკუთვნის აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური განვითარების ძირითად კანონებს.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეული წარმატებებით? არა, პარტია, ამხანაგი სტალინი სხვას გვასწავლიან. პარტია თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს თავისი მუშაობის მუდმივ და გაბედულ კრიტიკულ შემოწმებას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ უთვითკრიტიკოდ არ შეიძლება წინსვლა, რომ თვითკრიტიკა გვესაჭიროება როგორც ჰაერი. ცნობილ წერილში ა. მ. გორკისადმი ამხანაგი სტალინი წერდა:

„ჩვენ არ შეგვიძლია უთვითკრიტიკოდ. არას გზით არ შეგვიძლია, ალექსი მაქსიმეს-ძევ. უმისოდ გარდუვალია აპარატის გაყინვა, გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობისათვის ძირის გამოთხრა".

ეს ნათქვამი იყო ოცი წლის წინათ. ეს მთლიანად შეეხება ჩვენს დროსაც.

ჩვენ სწორედ მაშინ მივდივართ ნამდვილად წინ, როცა ბოლშევიკური გაბედულობით ვამხილებთ ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, როცა ვეყრდნობით ჩვენი ქვეყნის მძლავრ აღმავლობას და საკუთარ თავს ვუდგენთ სულ უფრო დიდ მოთხოვნებს, როცა ვიჩენთ საკმაო უნარს გავაერთიანოთ და წარვმართოთ საბჭოთა ადამიანებისა და მთელი ჩვენი ხალხის მოწინავე ძალები ახალ-ახალი ამოცანების შესრულებისაკენ, რომლებსაც პარტია აყენებს. საშინაო და საერთაშორისო ვითარების მოთხოვნათა შესაბამისად. ამით განისაზღვრება ძირითადი ამოცანები ყველა ჩვენი ორგანიზაციისა — პარტიული და არაპარტიული ორგანიზაციებისა, მშრომელთა საბჭოებისა, პროფკავშირებისა, კომკავშირისა.

ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღდგენა, რაც ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო, ძირითადად დამთავრებულია და რომ ჩვენ უკვე ავედით უფრო მაღალ ეკონომიურ დონეზე, ვიდრე ომამდე ვიყავით. ჩვენ ახლა დიდი შესაძლებლობანი გვაქვს ჯეროვნად მოვკიდოთ ხელი ისეთი სერიოზული საკითხების გადაწყვეტასაც, როგორიცაა საბინაო საქმე. ახალი ბინების მშენებლობას, ახალი სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობასთან ერთად, უადრესად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დედაქალაქის — მოსკოვის შემდგომი რეკონსტრუქციის გეგმაში, რომელიც მუშავდება. (ტაში).

ჩვენ გვაქვს მძლავრი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს მოსახლეობის მომწიფებული საჭიროებანი საქონლის მხრივ. ეს მრეწველობა ამასთან ერთად ამზადებს ყოველნაირ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს და ყოველგვარ ტექნიკურ სიახლეს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ფართო სახელმწიფო გეგმით ორგანიზებულად დავნერგოთ ახალი ტექნიკა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით ისეთ სამუშაოებზე, როგორიცაა ქვანახშირის შახტებში, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე, მშენებლობაზე, ხე-ტყის დამზადებაზე და სხვ. თუ ჩვენ ჯეროვნად მოვაწყობთ ამ საქმეს და გავაძლიერებთ ბრძოლას აქ არსებულ ნაკლოვანებებთან, ბევრად შევუმსუბუქებთ შრომას ჩვენს მუშებს, მნიშვნელოვნად ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას მრეწველობის მთელ რიგ ჩამორჩენილ დარგებში, შევქმნით საჭირო წინაპირობებს პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ახლა შრომის ყველა დარგში გადამწყვეტი ადგილი და ხელმძღვანელი პოსტები ეკუთვნით ისეთ კომუნისტებსა და სხვა საბჭოთა ადამიანებს, რომლებსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება და სერიოზული მომზადება აქვთ. ჯერ კიდევ ომამდე ტროცკისტთა, ბუხარინელთა და სხვა მავნებელთა განადგურებამ, რომლებიც ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში შემოაპარეს იმპერიალისტური სახელმწიფოების ყოველგვარმა დაზვერვებმა,—რაც ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ,—აგრეთვე შეუწყო ხელი ჩვენი სამეურნეო კადრების ზრდას. სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა საერთო რიცხვი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები დაამთავრეს, ამჟამად, დაახლოებით, 70 პროცენტით მეტია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრები ყოველწლიურად იღებენ სულ უფრო მძლავრ ახალ შევსებას. მაშასადამე, ჩვენში არის ისეთი შესაძლებლობანი სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში, როგორიც არ გვქონია ომამდე.

[illegible]

...ბის მთავრობებში მთავარ როლს ასრულებდნენ ისეთი სახელმწიფოების აგენტები, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ან ფაშისტური სახელმწიფოების — გერმანიისა და იტალიის აგენტები, ხოლო ზოგჯერ ერთნიცა და მეორენიც ერთად. ახლა მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. რასაკვირველია, პატარა სახელმწიფოებში იმპერიალისტური აგენტურის მოსპობა არც ისე ადვილია. რაიკის სასამართლო პროცესი უნგრეთში, ტრაიჩო კოსტოვის გასამართლება ბულგარეთში და მრავალი სხვა ფაქტი [illegible]

...ამჟამად ჩინელმა ხალხმა გამოჩენილი ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით შექმნა თავისი სახალხო რესპუბლიკა. (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება ჩინეთში ახალი უძლიერესი ლახვარია მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემისა და ჩვენი დროის იმპერიალისტური აგრესიის ყველა გეგმისადმი. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა [illegible]

(დასასრული მესამე გვერდზე)

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ქ. მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1950 წლის 10 მარტს

(დასასრული)

განვითარებით. ამიტომ, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფაქტებს, რომლებიც კაპიტალიზმის ქვეყნებში შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობას ეხებიან.

აიღეთ ფაქტები, რომლებიც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს — ჩვენი დროის მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტებმა ცუდად როდი გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომი. მათ თავიანთი მრეწველობა უფრო გაბერეს, ვიდრე მშვიდობიან დროს, და კარგად გაილესეს ჯიბე. მათ ცოტათი როდი გამოიყენეს აგრეთვე ცალკეული ქვეყნების ომისშემდგომი მძიმე მდგომარეობა და განსაკუთრებით დამარცხებული გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ეკონომიური დაქვეითება თავიანთი საქონლის გასასაღებლად და იმისათვის, რომ კვლავაც ოქროთი გაეტენათ ჯიბე. მაგრამ ომის შემდეგ ცოტა ხანი გავიდა, და საპნის ბუშტივით გასკდა [illegible]ვენური კეთილდღეობა, რაც ამერიკის კაპიტალისტური მრეწველობისათვის შეიქმნა ომის დროს, რომელიც ასე გამანადგურებელი იყო ევროპისა და აზიის ხალხებისათვის.

გამოქვეყნებული ცნობებიდან ყველასათვის ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში ამერიკის მრეწველობა უფრო დაბალ დონეზე მუშაობს, ვიდრე ომის წლებში. აგრეთვე ცნობილია, რომ 1949 წლის ოქტომბერში, როცა სამრეწველო წარმოება განსაკუთრებით დაქვეითდა, ამერიკის მრეწველობის დონე 22 პროცენტით დაეცა 1948 წლის ოქტომბერთან შედარებით. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა მრეწველობის დონე 1949 წელს 20 პროცენტით ამაღლდა. ამერიკის ციფრი—**მინუს 22 პროცენტი** მოწმობს შეერთებულ შტატებში ეკონომიური კრიზისის დაწყებას და ამასთან ერთად კრიზისს, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ძლიერდება. საბჭოთა ციფრი—**პლუს 20 პროცენტი** მეტყველებს საბჭოთა მრეწველობის შემდგომ მძლავრ აღმავლობაზე. **(ტაში).**

ხოლო რა შეიძლება ითქვას ერთი ან მეორე ბანაკის ქვეყნების ეკონომიური განვითარების პერსპექტივებზე?

მხოლოდ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც სოციალიზმის გზით მიდიან და საბჭოთა კავშირის დახმარებას ეყრდნობიან, იძლევიან ნათელ პასუხს ამ კითხვაზე.

ჯერ კიდევ წარსული საარჩევნო კამპანიის დროს ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძირითადი გეზი. მაშინ მან დასახა ეკონომიური გეგმის საფუძვლები სამი ხუთწლედის ან რამდენადმე მეტი ხნისათვის და ძირითად ამოცანად დასახა — „ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით“.

ახლა დამთავრებას უახლოვდება ჩვენი პირველი ომისშემდგომი ხუთწლედი. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყანა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს იმას, რაც ამ პირველი წლებისათვის იყო დასახული.

წელს ჩვენ ვიწყებთ მეორე ომისშემდგომი ხუთწლედის შედგენას, რომელიც 1951 წლიდან იწყება. რა თქმა უნდა, ჩვენი როგორც მეორე, ისე შემდეგი ომისშემდგომი ხუთწლედები აგრეთვე სტალინური ხუთწლედები იქნებიან, ეს კი თავისთავად მეტყველებს. **(ტაში).** ყველამ იცის, რომ ჩვენი სახალხო მეურნეო გეგმების განხორციელება სულ უფრო ამაღლებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და ამასთან ერთად განუხრელად სულ უფრო მაღალ დონეზე აჰყავს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი წინსვლის გზა, და დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გეგმა,—რათა მოკლე ისტორიულ ვადაში ერთისამად ავამაღლოთ საბჭოთა მრეწველობის დონე,—უთუოდ შესრულდება. **(ხანგრძლივი ტაში).**

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნებში.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში დაგეგმვის წარმატებათა მეოხებით სახალხო მეურნეო გეგმის იდეა პოპულარული გახდა ყველა ხალხში. ამერიკელმა მოღვაწეებმა მოისურვეს ამ ფაქტის გამოყენება და რეკლამა გაუწიეს ეგრეთწოდებულ „მარშალის გეგმას“. მაგრამ თუ რა ღირებულება აქვს ნამდვილად „მარშალის გეგმას“, ეს იქიდან ჩანს, რომ სწორედ ამ გეგმის — „ევროპისათვის დახმარების“ გეგმის განხორციელების წლებში იზრდება ეკონომიური კრიზისის ნიშნები, როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამას მოწმობს უმუშევართა და ნახევრად უმუშევართა — არასრულ კვირას მომუშავეთა მნიშვნელოვანი ციფრი, რომელმაც კაპიტალიზმის ქვეყნებში თითქმის 45 მილიონს მიაღწია. მართალია, რომ „მარშალის გეგმამ“ ხელი შეუწყო ამერიკელ მონოპოლისტებს ხელში ჩაეგდოთ მრეწველობის ბევრი დარგისა და სახელმწიფო ფინანსების სადავე ევროპის ქვეყნებში, მაგრამ ამან მყარი ვერ გახადა ამერიკის მრეწველობის მდგომარეობა. სამაგიეროდ ჩაწოლილი ამერიკული საქონლის მოზღვავება ევროპაში თავის საქმეს აკეთებს. „მარშალიზებული“ ქვეყნების ეროვნული მრეწველობა მარწუხში აღმოჩნდა, შემცირდა და დაცემას განიცდის, რაც იწვევს ლუკმაპურს მოკლებულ უმუშევართა სულ ახალ-ახალი არმიების ქუჩაში გამორეკვას.

ასეთ მდგომარეობაში გასაგები ხდება, რომ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ემხრობიან სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიან შეჯიბრებას, მაშინ როცა იმპერიალიზმის ბანაკში გამეფებულია შავბნელი უიმედობისა და სამხედრო ავანტიურების სულისკვეთება. მშვიდობიან პირობებში განვითარების ყოველი ახალი წელიწადი ხელს უწყობს ისეთი ქვეყნების პოზიციების განმტკიცების საქმეს, როგორიცაა სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოები, რაც არ შეიძლება ითქვას კაპიტალისტურ ქვეყნებზე.

ჩვენ დასამალავი როდი გვაქვს, რომ ჩვენი დიადი პერსპექტიული ეკონომიური გეგმების განსახორციელებლად სსრ კავშირი დაინტერესებულია მტკიცე მშვიდობით და სხვა ქვეყნებთან ფართო მშვიდობიანი თანამშრომლობით. მტკიცე მშვიდობა, მშვიდობა მთელ მსოფლიოში,—აი დროშა, რომლითაც წინ მიდიან სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. **(ხანგრძლივი ტაში).**

სხვა კურსი აქვთ აღებული იმპერიალისტური ბანაკის მმართველ წრეებს.

მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის პოლიტიკას იმპერიალისტები უპირდაპირებენ ახალი მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკას.

სწორედ მათ, აგრესიულმა სახელმწიფოებმა, უარყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში საბჭოთა მთავრობის წინადადება მშვიდობის განმტკიცების პაქტის შესახებ. სწორედ მათ მოახვიეს თავს დასავლეთ გერმანიას თავიანთი საოკუპაციო სტატუტი, რათა მეტ ხანს ამყოფონ თავიანთ სამხედრო ოკუპაციაში გერმანიის ტერიტორია და არ დაუდონ გერმანიას საზავო ხელშეკრულება. სწორედ მათ არა სურთ, რომ იაპონიას ჰქონდეს საზავო ხელშეკრულება, უკანონოდ ცდილობენ მეტ ხანს ამყოფონ სამხედრო ოკუპაციაში იაპონიის ტერიტორია და ვერ ხედავენ იმას, თუ როგორ უტეხს ეს სახელს მაოკუპირებელ სახელმწიფოს. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა დახარჯეს 6 მილიარდი დოლარი ჩინეთში სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად. სწორედ ამერიკული თვითმფრინავები დღესაც ბომბავენ შანხაის მშვიდობიან მოსახლეობას და ჩინეთის სხვა ქალაქებს, სადაც მათ გზავნის იმპერიალისტთა დამქაში ჩან კაიში. სწორედ აგრესიული სახელმწიფოები ახორციელებენ საგარეო ვაჭრობაში დისკრიმინაციის პოლიტიკას, რაც მიმართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, მაგრამ რომელიც მთელი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შემაფერხებელია. სწორედ მათი პრესა დღეს დაუსრულებლად გაჰყვირის, რომ საჭიროა განხორციელებულ იქნას ეგრეთწოდებული „ცივი ომის“ პოლიტიკა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, მოითხოვს სამხედრო ბიუჯეტების სულ უფრო და უფრო გადიდებას, სულ ახალ-ახალი სამხედრო ბაზების აგებას და დემოკრატიული ბანაკის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ მუდმივი მუქარის პოლიტიკის განგრძობას, რითაც ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების კაპიტალისტები სარგებლობენ, რათა ახალ-ახალი სამხედრო შეკვეთები და ახალ-ახალი მილიარდი მოგება მიიღონ.

ამ ბანაკის ყველა ჯურის შანტაჟისტები გუშინ ატომური ბომბით გვაშინებდნენ. დღეს ისინი გვაშინებენ ეგრეთწოდებული „წყალბადის ბომბით“, რომელიც ნამდვილად ჯერ კიდევ არ არსებობს. მათთვის უმჯობესი იქნება არც თუ ასე იტრაბახონ და ურიგო არ იქნება კარგად დაიხსომონ, რომ, სანამ ისინი შანტაჟს ეწეოდნენ იმით, რომ ატომურ ბომბს მონოპოლიურად ფლობთო, საბჭოთა ადამიანები, როგორც ცნობილია, დროს ფუჭად როდი კარგავდნენ, არამედ დაეუფლნენ ატომის ენერგიისა და ატომური იარაღის წარმოების საიდუმლოებას. **(ხანგრძლივი ტაში).** მხოლოდ ერთი შეშლილი მინისტრის მსგავს ბრიყვებს შეუძლიათ იქონიონ გიჟური ვარაუდი — დააშინონ საბჭოთა კავშირი, გზაკვალი აუბნიონ თავიანთ ხალხს ყოველგვარი აგრესიული გეგმების რეკლამირებით და არ ესმოდეთ, რომ დღევანდელ პირობებში მშვიდობიან შეჯიბრებაზე უარის თქმით და ახალი ომის გაჩაღებით იმპერიალისტები გარდუვალად გამოიწვევენ ხალხთა ისეთ სამართლიან და გადამწყვეტ აღშფოთებას, რომელიც სამუდამოდ აღგვის პირისაგან მიწისა იმპერიალიზმს და აგრესიას. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ სავსებით ვემხრობით ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ-სტალინურ პრინციპებს და ამ სისტემების მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებას. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით ის ჭეშმარიტებაც, რომ სანამ იმპერიალიზმი არსებობს, არსებობს ახალი აგრესიის საფრთხეც, რომ იმპერიალიზმისა და მისი მტაცებლური გეგმების არსებობისას ომები გარდუვალია. ამიტომ ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის მომხრენი პასიური არ უნდა იყვნენ, არ უნდა გადაიქცნენ ფრაზით გატაცებულ ფუჭ პაციფისტებად, არამედ უნდა ეწეოდნენ ყოველდღიურ, შეუპოვარ და სულ უფრო ქმედით ბრძოლას მშვიდობისათვის, ამ ბრძოლაში ჩააბან ხალხთა მასები და არ მოერიდონ სათანადო ღონისძიებებს იმპერიალისტების მიერ ახალი აგრესიის გაჩაღების ცდების დროს.

ამჟამად ყველა ქვეყანაში მშვიდობის მომხრეთა გაჩაღებული მასობრივი მოძრაობის სახით ჩვენ ვხედავთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის მნიშვნელოვან დასაყრდენს, ვინაიდან ეს მოძრაობა ყველა ხალხის საუკეთესო მისწრაფებებისა და იმედების ნამდვილი გამომხატველია. ჩვენ ახლა გვაქვს ის, რაც მეორე მსოფლიო ომამდე არ იყო. ამ ომამდეც ხალხის მასებში ჭარბობდნენ აგრესიის მოწინააღმდეგენი, ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრენი, მაგრამ მაშინ მშვიდობის მომხრენი გაერთიანებული არ იყვნენ, დარაზმული არ იყვნენ ერთ მძლავრ ბანაკად. ახლა სხვა მდგომარეობაა. ახლა ჩვენ გვაქვს მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული ფრონტი, რომელშიც ხალხთა მასები მონაწილეობენ.

საბჭოთა კავშირთან ერთ ბანაკში იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა შეადგენს 800 მილიონ კაცს, ესე იგი მთელი დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტს. ასეულ მილიონობით ადამიანი სხვა ქვეყნებში აგრეთვე ემხრობა მტკიცე მშვიდობის საქმეს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ. როგორც ხალხის საარსებო ინტერესების დაცვის მოწინავე პოზიციებზე მდგომმა ადამიანებმა, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტებმა ხმამაღლა გამოაცხადეს, რომ ამ ქვეყნების ხალხები არ იომებენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, რომ ამ ქვეყნების ხალხებს არა სურთ იმპერიალისტური აგრესიის იარაღი იყვნენ. ამ გაბედულ და ძლიერ გამოსვლებს, რომლებიც გამოხატავენ ხალხთა მასების შეგნებულობის უდიდეს ზრდას, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ, რადგან ახალ-ახალ მილიონობით ადამიანებს რაზმავენ მშვიდობისათვის საბრძოლველად, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებისათვის აქტიურად სამოქმედოდ, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ახალი აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თუ მშვიდობის მომხრეები ყველა ქვეყანაში განუხრელად იბრძოლებენ ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის, ამხილებენ ომის ყველა და ყოველგვარ გამჩაღებლებს, სულ უფრო გააფართოებენ და დარაზმავენ თავიანთ რიგებს, მაშინ მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობა შეასრულებს თავის ისტორიულ ამოცანას— ხელი შეუშალოს ახალი აგრესიის გაჩაღებას და იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ დარაზმოს ხალხთა ისეთი ძალა, რომელიც ალაგმავს ყოველ აგრესორს. **(ხანგრძლივი ტაში).**

აი ზოგიერთი შედეგი.

აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნებიც ჩვენი შემდგომი ამოცანების შესახებ.

ამხანაგებო!

ყველასათვის გასაგებია, თუ რატომ მიმდინარეობს უმაღლესი საბჭოს ახლანდელი არჩევნებიც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის საბრძოლო დროშით.

ეს ბლოკი აერთიანებს მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას — მთელ საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ეს ბლოკი ჩვენი გამარჯვებების საფუძველი და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი წარმატებების საწინდარია. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ძლევამოსილ ბლოკს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს და მის დიად პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას! **(მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია).**

გაუმარჯოს ჩვენს დიდ და ბრძენ ბელადს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ **სტალინს! (მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. დიდხანს გაისმის მისალმებანი ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით საარჩევნო უბანში ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ტერიტორიაზე (26 კომისრის რაიონი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

ხალხის ერთსულოვნებისა და დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია

სახალხო ზეიმი

12 მარტი. სადღესასწაულოდ მორთულა თბილისი. მუსიკის საამო ჰანგები ეფინება გარემოს. ზეიმია, ნამდვილი ზეიმი.

კიროვის რაიონის ამომრჩევლები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან საარჩევნო უბნებისაკენ, რომ მოიხადონ მოქალაქეობრივი მოვალეობა, ხმა მისცენ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას, ნათელ მომავალს, ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძეს.

მე-15 საარჩევნო უბანი სამსხმელო-მექანიკური ქარხნის შენობაშია მოთავსებული. იგი სანიმუშოდ არის მორთული. ჯერ კიდევ დილის 5 საათი არ შესრულებულიყო, რომ უბნის შენობის წინ თავი მოეყარათ ამომრჩევლებს—ახალგაზრდებსა და მოხუცებს, მუშებსა და დიასახლისებს.

ადრიანად მოვიდა საარჩევნო უბანში 70 წლის მოხუცი ამომრჩეველი, ინდუსტრიული ტექნიკუმის მუშა ანდრია პილიპენკო. აქ იგი ახალგაზრდა ამომრჩევლებს—სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მუშებს ესაუბრება.

— მუშის ხვედრი ძველად აუტანელი გაჭირვება, შიმშილი, სილატაკე და სამუშაოს დაკარგვის მუდმივი შიში იყო,—ამბობს მოხუცი. — 14-16 საათიანი სამუშაო დღე, მათხოვრული ხელფასი, ჯარიმები, უსუფთაობა და სივიწროვე წარმოებაში, აუტანელი შრომა, სარდაფებში ცხოვრება,—ასეთი იყო მუშათა ხვედრი თვითმპყრობელური რუსეთის საწარმოებში. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა კიდევ ერთი უბედურება — კაპიტალისტები თავიანთი ფაბრიკა-ქარხნებიდან პირველ რიგში ერეკებოდნენ მოხუც მუშებს, ისეთებს, რომელთაც ახალგაზრდებივით შრომა აღარ შეეძლოთ. სამუშაოდან გაძევებულ ასეთ მოხუც მუშათა ხვედრი იყო ან შიმშილით სიკვდილი, ან ლუკმაპურის შოვნა მათხოვრობით. სულ სხვაა ახლა, დიად სტალინურ ეპოქაში, როდესაც ყველა მშრომელისათვის ზრუნავენ ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა, მშობლიური სტალინი. ჩვენთვის, მოხუცებისათვის დიადი სტალინური კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ბედნიერი ცხოვრება. კიდევ უფრო ბედნიერი ხართ თქვენ, ახალგაზრდები, რომელთაც არ გამოგიცდიათ ძველი დროის დუხჭირი ცხოვრება. თქვენი შრომა დაფასებულია. თქვენ ყველა შესაძლებლობა გაქვთ გამოავლინოთ თქვენი ნიჭი, თქვენი უნარი, იყოთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

ახალგაზრდა ამომრჩევლები რობერტ ასაკაშვილი და მიხეილ მენთეშაშვილი პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. მათ ერთ-ერთმა პირველებმა ჩაუშვეს ყუთში ბიულეტენები, ხმა მისცეს თავიანთ ბედნიერ აწმყოს და კიდევ უფრო უკეთეს მომავალს. სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ეს სტახანოველები—მსხმელი რ. ასაკაშვილი და ამწყობი-ზეინკალი მიხეილ მენთეშაშვილი საარჩევნო უბანში გამარჯვებული მოვიდნენ. მათ კვარტალური დავალება 1 მარტისათვის შეასრულეს და შემდგომ დღეებში უფრო გააძლიერეს მუშაობა.

— მე სტალინურ ეპოქაში დავიბადე და დავვაჟკაცდი, — განაცხადა მ. მენთეშაშვილმა. მე მიყვარს ჩემი მზიური სამშობლო, დიადი საბჭოთა ქვეყანა, სადაც შრომა გმირობისა და დიდების საქმეა. დაუვიწყარია 12 მარტი ჩემთვის, რადგან პირველად მივიღე მონაწილეობა არჩევნებში.

მე-14 საარჩევნო უბნის წინ მრავალი ამომრჩეველი შეკრებილა. მათ უკვე მისცეს ხმა დეპუტატობის კანდიდატებს, მაგრამ სახლებში არ მიიჩქარიან, ცეკვა-თამაში გაუმართავთ, მღერიან, მხიარულობენ.

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის სტახანოველი ანა ზუბკოვა საამაყო მაჩვენებლებით მოვიდა არჩევნებზე. მან 12 მარტისათვის კვარტალური გეგმა შეასრულა.

საუბნო კომისიას ავადმყოფი ამომრჩევლებისათვის, რომლებიც წინასწარ იყვნენ აღრიცხულნი, ორი მსუბუქი მანქანა გამოუყვია. დილის 9 საათისათვის კომისიის წევრებმა უკვე დაამთავრეს მათი ბინების ჩამოვლა. ამავე დროისათვის უბანში ამომრჩეველთა 65 პროცენტმა მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ტყავის პირველი ქარხნის დირექტორი გ. ხაზარაძე მესამე საუბნო საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს. უბანში მოსულ თვითეულ ამომრჩეველს ხვდება წესრიგი და მზრუნველობა. ზოგიერთ დიასახლისს უბანში თან მოჰყავს პატარა ბავშვები. აქ პატარებს გულისხმიერად ეგებებიან, მიჰყავთ ბავშვთათვის სპეციალურად მოწყობილ გასართობ ოთახში, სადაც ბლომად არის სხვადასხვა სათამაშოები. უბანში, რომელიც გორაკზე, საბავშვო ბაღის ვრცელ დარბაზებშია მოთავსებული, დილიდანვე უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ამომრჩევლები. დილის ათი საათისათვის ამომრჩეველთა 80-ზე მეტმა პროცენტმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

მოსწავლე ლილი მაჭარაძეს 6 მარტს შეუსრულდა 18 წელი. იგი მოუთმენლად მოელოდა არჩევნების დღეს. თვალები უბრწყინავდა გოგონას, როდესაც მან პირველმა ჩაუშვა ყუთში საარჩევნო ბიულეტენები.

სატრიკოტაჟო ფაბრიკაშია მოთავსებული 22-ე საარჩევნო უბანი. უბანში პირველი გამოცხადდნენ მოსწავლეები ალექსანდრე კუჭავა და ალბერტ ვართანოვი, რომელთაც ახლახან შეუსრულდათ 18 წელი. მათ პირველებმა ჩაუშვეს ყუთში საარჩევნო ბიულეტენები. უსაზღვრო იყო მათი სიხარული.

მთლიანად რაიონის 28 საარჩევნო უბანში დღის 2 საათისათვის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 95 პროცენტმა.

საღამოა. ათასფრად აკიაფდნენ ელექტრონათურები. თბილისის ქუჩებში გამოფენილა მოსახლეობა. ზეიმია დედაქალაქში, ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ზეიმი.

ხმას აძლევდნენ სამშობლოს ძლიერებას, საბჭოთა მეცნიერების წინსვლას

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დიდი უმრავლესობა თბილისის ორჯონიკიძის რაიონშია თავმოყრილი. ისინი სამშობლოს უმზადებენ სხვადასხვა დარგის მრავალრიცხოვან კადრებს. ამ რაიონის ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, ათასობით სტუდენტი ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, აღზრდილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

12 მარტს ადრე გაიღვიძეს ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა.

დილის სრულ 6 საათზე № 27 უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ჩაგელიშვილი საარჩევნო ყუთის დალუქვის შემდეგ ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად. ბიულეტენები პირველმა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. შემდეგ ბიულეტენები მიიღეს ვაკის პარკის მშენებლობის 200-მდე მუშამ, რომლებიც ორგანიზებულად გამოცხადდენ საარჩევნო უბანში. საარჩევნო ბიულეტენებს იღებენ პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პროფესორი დ. დოლიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი რ. დვალი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი მამასახლისოვი, კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი გ. ქომეთიანი. უწყვეტ ნაკადად მოდიან ამომრჩევლები. დილის 9 საათისათვის საარჩევნო ბიულეტენები მიღებული ჰქონდა ამომრჩეველთა 80 პროცენტს.

დილაადრიან გამოცხადდა № 26 საარჩევნო უბანში ახალგაზრდა ამომრჩეველი, ქალთა 44-ე საშუალო სკოლის კარგოსანი მოსწავლე ზაირა ლესელიძე. საბჭოთა კავშირის გმირის, სამამულო ომში დაღუპული სახელოვანი არტილერისტის შვილი პირველად მონაწილეობს არჩევნებში და პირველი იღებს ბიულეტენებს.

№ 23 საარჩევნო უბანში ცხადდება თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ცნობილი სტახანოველი თამარ კოპალეიშვილი. იგი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი წარსდგა საარჩევნო ყუთთან, წარმატებით შეასრულა არჩევნებისათვის მზადების დღეებში ნაკისრი ვალდებულება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ცეკვა გაუმართავს სტუდენტ მოცეკვავეთა ანსამბლს. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, რომელთაც მოუხდიათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, გარს შემოხვევია წრეს და ტკბება ბედნიერი ახალგაზრდობის გართობის ცქერით.

დანიშნულ დროზე № 30/3 უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რ. ქლენტმა ამომრჩევლები ხმის მისაცემად მიიწვია. ბიულეტენებს პირველი იღებენ მოხუცი ამომრჩევლები პენსიონერი მიხეილ გიგაშვილი და მისი მეუღლე — სოფიო. განახორციელეს რა სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება, ისინი კმაყოფილი დაბრუნდნენ სახლში.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი ლიანა მთაწმინდელი ყველაზე ადრე გამოცხადდა № 36/9 საარჩევნო უბანში და პირველმა ჩაუშვა ბიულეტენები ურნაში.

82 წლის მოხუცმა სოფიო კახიშვილმა არ დაუჯერა შვილის რჩევას დარჩენილიყო სახლში და დაელოდა, ვიდრე კომისიის წევრები მოუტანდნენ ბიულეტენებს.

— არა, უბანში უნდა წავიდე,—თქვა მან, — იქ, ადგილზევე მინდა ხმა მივცე ჩვენს საბჭოთა მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას, ჩვენს ბელადს სტალინს, ხმა მივცე მათ ჩემი 7 შვილისა და 11 შვილიშვილის ბედნიერებისათვის.

№ 18 საარჩევნო უბანში ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს ხმა მისცა გმირმა დედამ ბარბარე ბახტაძემ. იგი დიდხანს არ წასულა ამ უბნიდან, ტრიალებდა ახალგაზრდებში, ბავშვებში.

— ჩემი გული ხარობს, როცა შევყურებ ამ ზეიმს, ამ საყოველთაო სიხარულს, — აცხადებს იგი, — მადლობა ამ საამური ცხოვრების შემოქმედს ჩვენს საყვარელ ბელადს, დიდ სტალინს.

საყოველთაო-სახალხო ზეიმი რესპუბლიკის რაიონებში

გარეუბნის რაიონი

ათასობით კოლმეურნე, მუშა, მოსამსახურე და ინტელიგენტი სიხარულით ელოდა 12 მარტს. არჩევნების დაწყებისათვის მზად იყო თბილისის გარეუბნის რაიონის ყველა საარჩევნო უბანი.

დილით ადრე ქვემო ავჭალის საარჩევნო უბანში, რომელიც მოთავსებულია მუშის ქარხნის ტერიტორიაზე, ბევრი ამომრჩეველი შეგროვდა. სრულ 6 საათზე საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ყენიამ არჩევნები დაწყებულად გამოაცხადა.

პირველ ბიულეტენს იღებს 18 წლის ნინელი ტატანაშვილი, რომელმაც განაცხადა: — ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, პირველად ვიღებ მონაწილეობას არჩევნებში, ხმას ვაძლევ საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძეს. ამით მე ხმას ვაძლევ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს.

შემდეგ ბიულეტენები მიიღეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ვ. ვარდანაშვილმა და ნ. რიაბოვმა, ძველმა რკინიგზელმა მუშამ ვასილ კვინიკაძემ, კომკავშირელმა დ. რიბკოვმა, რომელმაც 11 მარტს დღიური ნორმა 300 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებით აღნიშნა არჩევნების წინადღეები კომკავშირელმა ვერა აბუშევამ, რომელიც გეგმას 150 პროცენტით ასრულებს.

ამ უბანში დილის 9 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩევლების 86 პროცენტს.

არჩევნების დღეს წარმატებით შეხვდნენ ავჭალის ბერიას და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დათესა 10 ჰექტარი ქერი, 14 ჰექტარი მზესუმზირა; სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 20 ჰექტარი მზესუმზირა, ნახევარი ჰექტარის ნაცვლად 1 ჰექტარი კარტოფილი, 8 ჰექტარი ქერი და სხვ.

საუკეთესოდ მოეწყოთ ზემო ავჭალის საარჩევნო უბანი, რომელიც მოთავსებული იყო საშუალო სკოლის შენობაში. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ივ. სამსონიამ, რომელიც სკოლის დირექტორია, ენერგიული მუშაობა ჩაატარა ამ დღისათვის. მოსწავლეთა გუნდი მხატვრულ მომსახურებას უწევდა ამომრჩევლებს. ამ უბანში პირველი ბიულეტენი მიიღო 75 წლის მიხეილ სუხიშვილმა, რომელმაც შარშან კოლმეურნეობაში 130 შრომადღეზე მეტი გამოიმუშავა. მეორემ მისცა ხმა მოხუცმა ი. გოგელიამ. მას 1949 წელს გამომუშავებული აქვს 240 შრომადღე. შემდეგ ბიულეტენი ჩაუშვა ყუთში ოსტატმა ვ. ქუკოვმა, რომლის საამქრომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 200 ცალი საწოლი.

წარმატებით მიმდინარეობდა ხმის მიცემა სამგორის მშენებლობისა და სოფელ ლილოს საარჩევნო უბნებში. ორხევის საარჩევნო უბანში 558 ამომრჩეველმა დღის 1-ლი საათისათვის მთლიანად მისცა ხმა, აგრეთვე ხმა მისცა „ხმის მიცემის უფლების მოწმობით" მოსულმა 23 კაცმა. აქ მოწყობილი იყო საბავშვო ბაგა და გართობა. ხმის მისაცემად პირველნი გამოცხადდნენ სტახანოველები გ. არუთინოვი, შ. კალამბეგაშვილი, ს. პოპოვი, რომლებიც დღიურ დავალებას 150-170 პროცენტით ასრულებენ.

სოფელ ლილოს საარჩევნო უბანში დილის 4 საათისათვის ძირითადად დამთავრდა ხმის მიცემა. აქ ყველაზე პირველად გამოცხადდა მოხუცი კოლმეურნე ალ. აბაშვილი, რომელმაც შარშან გამოიმუშავა 517 შრომადღე.

(საკ. კორ.).

ყვარელი

არჩევნების დღეს ყვარლის რაიონის სოფლებმა ადრე გაიღვიძეს. დილაადრიან ათასობით ამომრჩეველი საარჩევნო უბნებისაკენ გაეშურა.

დილის სრულ 6 საათზე სოფელ სანავარდოს საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რ. სეფაშვილმა ამომრჩევლებს არჩევნების დაწყება აუწყა. ამ უბანში ყველაზე ადრე ახალგაზრდა ამომრჩეველი თამარ კანანაძე გამოცხადდა, მაგრამ მან ჩვეული თავაზიანობით პირველობა 100 წლის მოხუცს თამარ პაპიაშვილს დაუთმო. მხცოვანმა ამომრჩეველმა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაშვებისას განაცხადა:

— დიდხანს იცოცხლოს მშრომელთა ბელადმა დიდმა სტალინმა ჩვენი ბედნიერი, სამური ცხოვრების შემქმნისათვის.

კოლმეურნე დავით ქიზიყელაშვილი ხმის მისაცემად გამოცხადდა თავისი ოჯახის ყველა ექვს წევრთან ერთად. მათ შარშან 1.778 შრომადღე გამოიმუშავეს და კოლმეურნეობიდან მიიღეს 10 ტონა მარცვლეული, 6.000 მანეთი ფული და 500 ლიტრი ღვინო. ქიზიყელაშვილის ოჯახის წევრებმა აღფრთოვანებით მისცეს ხმა სამშობლოს ერთგულ შვილებს, ამით ხმა მისცეს კოლმეურნეთა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას.

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ნიშნით ჩატარდა ხმის მიცემა ყვარლის საარჩევნო უბანში. აქ ერთ-ერთი პირველი გამოცხადდა 127 წლის მოხუცი ნიკოლოზ თევდორაშვილი. შემდეგ საარჩევნო ყუთში ბიულეტენები ჩაუშვა 120 წლის ბარბარე მამულაშვილმა.

დილის 10 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ყვარლის რაიონის ამომრჩეველთა 83 პროცენტს. არჩევნები ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გარშემო რაიონის მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

(საკ. კორ.).

დუშეთი

12 მარტი, ეს იყო სიხარულისა და აღფრთოვანების დღე, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, კომუნიზმის საქმისადმი ხალხის ერთგულებისა და სიყვარულის მძლავრი დემონსტრაცია. ზეიმი დაიწყო ღამით ხევსურეთის მთებში, ფშავში, გუდამაყარში, მთიულეთში, რაიონის ყველა სოფელში. საარჩევნო უბნებში თავი მოიყარეს ამომრჩევლებმა. სახეგაბრწყინებული ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, ისმოდა დოლ-გარმონის ხმა, ფანდურის მელოდიური ჟღერა, სიმღერები და შეძახილები:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— დიდება ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს, ყველა მშრომელის მამასა და მეგობარს, ჩვენს სიხარულსა და სიამაყეს—ამხანაგ სტალინს!

სრულ 6 საათზე დუშეთის პედსასწავლებლის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. როსტიაშვილმა ამომრჩეველთ მიმართა:

— ამხანაგებო, მოგილოცავთ არჩევნების დღეს! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, შევუდგეთ ხმის მიცემას.

ზედიზედ მიდიან ამომრჩევლები მაგიდასთან, სადაც ბიულეტენებს იძლევიან. ახალგაზრდა ამომრჩევლები ლ. ჩანადირი, ტ. ღარიბაშვილი პირველნი უშვებენ ყუთში საარჩევნო ბიულეტენებს.

დარბაზში შემოვიდნენ დუშეთის მტს-ის მუშაკები. ისინი ახალი შრომითი წარმატებით გამოცხადდნენ არჩევნებზე. მტს-ის კოლექტივმა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი ვადაზე ადრე დაამთავრა. მჭედელი ა. ბრაჭული და ხარატი ნ. ბულაური ორი თვის განმავლობაში არჩევნების აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე იდგნენ და ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებდნენ.

წარმატებით მიმდინარეობდა არჩევნები ფშავ-ხევსურეთში. მიუხედავად დიდი თოვლისა და ზვავებისა, ხევსურ ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა დილის 10 საათამდე გამოცხადდა უბნებში და ხმა მისცა დეპუტატობის კანდიდატებს.

არაჩვეულებრივი ზეიმის ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები რაიონის დანარჩენ საარჩევნო უბნებშიც.

წინათ ჩამორჩენილი, დღეს კი სტალინური მზის ქვეშ აყვავებული კუთხის—დუშეთის რაიონის მშრომელებმა უდიდესი სიხარულით მისცეს ხმა ლენინ-სტალინის პარტიის უკვდავ საქმეს, თავიანთ ბედნიერებას, მშრომელთა ყველა სიკეთის დაუშრეტელ წყაროს—დიდ სტალინს. (საკ. კორ.).

ჩოხატაური

12 მარტს უჩვეულო აღფრთოვანება სუფევდა ზემოფარცხმაში, სოფელში, სადაც 1905 წელს ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. მას შემდეგ 45 წელი გავიდა, მაგრამ ძველი ბოლშევიკები სეფე, ასალი, კოსტა, კალენიკე, ივლიტა და გოგონა ცინცაძეები, გოჯასპირ ჩხიკვაძე, კატო უჯმაჯურიძე და სხვები, რომლებიც დიდი ბელადის მიერ ნაჩვენებ გზას გაჰყვნენ, ახლაც მხნედ არიან და ენერგიულად მუშაობენ ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

გათენებამდე დიდი ხნით ადრე მოიყარეს თავი ამომრჩევლებმა საარჩევნო უბანში. დილის 6 საათზე, როცა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სეფე ცინცაძემ ამომრჩევლები ხმის მისაცემად მიიწვია, პირველი ბიულეტენები ძველმა ბოლშევიკებმა მიიღეს. (საკ. კორ.).

ლანჩხუთი

დიდი აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდნენ ლანჩხუთის რაიონის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს.

დილაადრიანად მოვიდნენ საარჩევნო უბანში სოფელ ქვემო აკეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. დილის 6 საათია. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ღლონტი ხმის მისაცემად იწვევს ამომრჩევლებს. საარჩევნო ბიულეტენებს პირველნი იღებენ სოციალისტური შრომის გმირი ნინო ღლონტი, ლენინის ორდენოსანი მერგოლური გ. ღლონტი, მოწინავე ბრიგადირი ვ. ჩხაიძე და სხვები, რომლებიც უშვებენ რა საარჩევნო ბიულეტენებს ყუთში, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას უსურვებენ კოლმეურნე გლეხობის დიდ მეგობარს, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები რაიონის სხვა სოფლებშიც დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით მიმდინარეობდა. (საკ. კორ.).

ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის საარჩევნო უბანში დილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლ. მაღლაკელიძემ მეტალურგ ამომრჩევლებს არჩევნების დაწყება მიულოცა. საარჩევნო ყუთთან პირველნი მიდიან სტახანოველი მდნობელები დავით ქარქაშაძე, სავლე ფერაძე, ბადულა გამგებელი და ივანე გიორგაძე. მათ მიჰყვებიან ახალგაზრდა ამომრჩევლები ნინო გალდავა, სესილი თუთარაშვილი და სხვები.

დილის 10 საათისათვის ამ უბნის ყველა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ამავე დროისათვის ხმის მიცემა ძირითადად დამთავრდა პირველი და მეორე სვირის, ალავერდისა და სხვა სოფლების საარჩევნო უბნებში.

ალავერდის საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველნი გამოცხადნენ ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები გიორგი, ვედია და გრიგოლ კვანტრიშვილები. (საკ. კორ.).

ბათუმის რაიონი

ბათუმის რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

დიდი სიხარული იყო 12 მარტს მდინარე სარფის მარჯვენა ნაპირზე. როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ხ. ფაღავამ საარჩევნო უბნის კარი გააღო, ბიულეტენები პირველმა მიიღო სოციალისტური შრომის გმირმა ზ. მემიშიშმა.

არჩევნები ზეიმით და სიხარულით მიმდინარეობდა ერგეს, ახალი სოფლის, აჭარისწყლის, თხილნარისა და სხვა სოფლების საარჩევნო უბნებში, სადაც დილის 10 საათისათვის ძირითადად დამთავრებული იყო ხმის მიცემა.

(საკ. კორ.).

ქედა

საარჩევნო უბნებში ამომრჩევლებმა დილის 5 საათიდან იწყეს მოსვლა. უკრავდა მუსიკა, ხალხი მხიარულობდა.

ქედის საარჩევნო უბანში თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა პირველმა მოიხადა სოფელ შევაბურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ღრმად მოხუცმა მუხამედ ბასილაძემ, რომელიც საარჩევნო უბანში 7 შვილით გამოცხადდა.

დილის 10 საათისათვის რაიონის საარჩევნო უბნებში ხმა მიცემული ჰქონდა 87 პროცენტს. (საკ. კორ.).

ხულო

სამოლეთის საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველი მოვიდა 105 წლის ამომრჩეველი ისმაილ ბექანიძე. შემდეგ საარჩევნო ყუთში ბიულეტენები ჩაუშვა 89 წლის ნ. მუკუტაძემ.

ხულოს საარჩევნო უბანში პირველმა მისცა ხმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა, პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლემ ფ. ადაძემ. ამ უბანში ყველა ამომრჩეველმა დილითვე მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

რაიონის სხვა საარჩევნო უბნებშიც ხმის მიცემა წარმატებით ჩატარდა.

(საკ. კორ.).

ცხაკაია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ცხაკაიას რაიონში მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა. ჯერ კიდევ დილის 10 საათისათვის რაიონის ამომრჩეველთა 96 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. ამ დროისათვის ხმის მიცემა ძირითადად დაამთავრეს ქვემო ფოცხოს, უშაფათის, გეჯეთის, ლეძამის, ბეთლემის, ნოქალაქევის, ახალსოფლის, ნოსირის, ოქტომბრის, ძველი სენაკისა და სხვა სოფლების საარჩევნო უბნების ამომრჩევლებმა.

სოფელ ქვემო ფოცხოს საარჩევნო უბანში პირველმა მიიღო ბიულეტენები 120 წლის მოხუცმა კოლმეურნემ ქ. ღვინჯილიამ, სოფელ ლეძამის საარჩევნო უბანში — მოხუცმა კოლმეურნემ ბახვა არზიანმა.

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემისას მშრომელები გამოთქვამდნენ დიდ სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. (საკ. კორ.).

უნგრეთის მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ბუდაპეშტი, 11 მარტი. (საკდესი). უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 23 თებერვალს უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც დასმული იყო კითხვა — აპირებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დასკვნები გააკეთოს იმ ფაქტებიდან, რომლებიც გამოაშკარავდა გეიგერისა და მის თანამონაწილეთა პროცესზე, აგრეთვე აპირებს თუ არა იგი დასკვნები გააკეთოს ამერიკის მისიის იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც სახელი გაიტეხეს ჯაშუშობის საქმესთან კავშირით. ნოტა შეიცავს აგრეთვე კითხვას — განზრახული აქვს თუ არა ამერიკის მთავრობას შეამციროს ამერიკის ბუდაპეშტის მისიის შეუსაბამოდ დიდი აპარატი. რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თავის 4 მარტის პასუხში უნგრეთის მთავრობისადმი ეს დასკვნები არ გაუკეთებია, ნათქვამია შემდეგ საინფორმაციო განყოფილების ცნობაში, უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 10 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების მისიას ბუდაპეშტში გადასცა ახალი ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

„უნგრეთის მთავრობას თავისი 1950 წლის 23 თებერვლის ნოტით სურდა შესაძლებლობა მიეცა შეერთებული შტატების მთავრობისათვის საკუთარი შეხედულებით გამოეტანა დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ გეიგერისა და მის თანამონაწილეთა პროცესზე დამტკიცებული ფაქტებიდან. უნგრეთის მთავრობას სურდა ამ გზით აეცილებინა თავიდან ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუარესება.

უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ აპირებს საკუთარი შეხედულებით გააკეთოს დასკვნა ხსენებული ფაქტებიდან. ამიტომ უნგრეთის მთავრობა წინადადებას აძლევს შეერთებული შტატების მთავრობას გაიწვიოს ამერიკის შეერთებული შტატების ბუდაპეშტის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ჯეიმს ბ. კრაფტი, სამხედრო ატაშეს მოადგილე პოდპოლკოვნიკი ჯონ ტ. ჰოინი, საავიაციო ატაშეს მოადგილე დონალდ ე. გრიფინი, როგორც ისეთი პირები, რომლებიც უნგრეთის მთავრობას პერსონა ნონ გრატად მიაჩნია".

ამერიკის შეერთებული შტატების ბუდაპეშტის მისიის შეუსაბამოდ დიდი აპარატის შესახებ ნოტაში აღნიშნულია: „გეიგერის პროცესის მასალებიდან ცხადი გახდა, რომ გადიდებული აპარატი ამერიკის მისიას იმისთვის ესაჭიროება, რომ მისიის ბევრი თანამშრომელი ასრულებს არა ჩვეულებრივ დიპლომატიურ ამოცანებს, რომლებიც მისიის ფუნქციაში შედიან, არამედ სადაზვერვო საქმიანობას. სწორედ ამიტომ უნგრეთის მთავრობა იმ თვალსაზრისისაა, რომლის თანახმადაც საჭიროა შემცირდეს შეერთებული შტატების ბუდაპეშტის მისიის შეუსაბამოდ დიდი აპარატი".

უნგრეთის მთავრობა გადაჭრით აცხადებს პროტესტს ამერიკის ნოტის იმ ცდის წინააღმდეგ, რომ საეჭვო გახადოს უნგრეთის მართლმსაჯულების კანონიერება.

„ამასთან დაკავშირებით, — ნათქვამია ნოტაში, — უნგრეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების ბუდაპეშტის მისიის თანამშრომლები ესწრებოდნენ ხსენებულ სასამართლო პროცესს და შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ დანაშაულობათა ჩადენა, რაც საფუძველი გახდა განაჩენის გამოტანისა, აგრეთვე როლი, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მისიის თანამშრომლები ასრულებდნენ, გარდა ბრალდებულთა დაწვრილებითი ჩვენებისა, დამტკიცდა აგრეთვე მოწმეთა ჩვენებით და მრავალი ნივთიერი საბუთით, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევენ.

გარდა ამისა, შეერთებული შტატების მთავრობას შესაძლებლობა აქვს მიმართოს საკუთარ სადაზვერვო ორგანოებს და დარწმუნდეს ამ ფაქტების სისწორეში ხსენებული ორგანოების ოფიციალური ცნობების საფუძველზე".

„უნგრეთის [illegible] — ნათქვამია დასასრულ ნოტაში, — [illegible] მთავრობა [illegible] ნოტაში [illegible] უნგრეთის მთავრობის „თვითნებურ და არამეგობრულ" საქციელზე, მაშინ როცა სწორედ შეერთებული შტატების მთავრობამ მიმართა სხვადასხვა თვითნებურ და არამეგობრულ მოქმედებას უნგრეთის მიმართ. შეერთებული შტატების მთავრობა, არღვევს რა საზავო ხელშეკრულების 30-ე მუხლს, არ თანხმდება შეასრულოს თავისი ვალდებულებანი დასავლეთში წაღებული უნგრეთის ქონების დაბრუნების შესახებ და, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მოხსენიებულია ჩვენს უკანასკნელ ნოტაში, როგორიცაა: ამერიკელი მოქალაქეებისათვის უნგრეთში გამგზავრების აკრძალვა, აგრეთვე ნიუ-იორკსა და კლივლენდში უნგრეთის საკონსულოების უკანონო დახურვა, — ამერიკის მთავრობამ უკანასკნელ დროს მიმართა საგანგებო ღონისძიებებს ამერიკაში უნგრეთის აქტივებისათვის სეკვესტრის დასადებად. რაც შეეხება ამ სეკვესტრს, უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა აღნიშნოს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ, მის მიერ საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა საწინააღმდეგოდ, ჯერ კიდევ ადრე უარყო უნგრეთის თითქმის ყველა მოთხოვნა, რათა ამრიგად ხელი შეეშალა უნგრეთის ეკონომიური აღდგენისათვის. ეს ღონისძიება მით უმეტეს დაუსაბუთებელია, რომ უნგრეთმა შეასრულა თავისი სავალდებულო ვალდებულებანი შეერთებული შტატების მიმართ. მაშასადამე, სრულიად ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ეხება ისეთ ღონისძიებას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ დემონსტრაციული ხასიათი აქვს და რომელიც სრულიად უკანონოდ და განზრახ ხაზგასმით აღნიშნავს შეერთებული შტატების მთავრობის არაკეთილსასურველ დამოკიდებულებას უნგრეთისადმი.

ყოველივე ეს, უეჭველია, ადასტურებს, რომ სწორედ შეერთებული შტატების მთავრობა ზედიზედ მიმართავს არამეგობრულ მოქმედებას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ".

უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ცნობა

ბუდაპეშტი, 12 მარტი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„როგორც ცნობილია, უნგრეთის მთავრობამ ბრიტანეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომ მას გაეწვია ის ინგლისელი დიპლომატები, რომელთა დანაშაულებრივი მონაწილეობა ჯაშუშურ საქმიანობაში დამტკიცებულ იქნა გეიგერისა და მის თანამონაწილეთა პროცესზე. იმავე დროს უნგრეთის მთავრობამ აცნობა, რომ გეიგერისა და მის თანამონაწილეთა პროცესზე დამტკიცებულ იქნა, რომ „ბრიტანეთის საბჭო" ოფიციალური კულტურული მიზნების საფარველით ეწეოდა ჯაშუშობას. ამიტომ უნგრეთის მთავრობამ ბრიტანეთის მისიას სთხოვა შეეწყვეტილიყო უნგრეთში „ბრიტანეთის საბჭოს" საქმიანობა.

10 მარტს ბრიტანეთის მისიამ უნგრეთის მთავრობას აცნობა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ სამხედრო ატაშეს მოადგილეს პოლკოვნიკ პერსი ჰ. კეპრონს და საავიაციო ატაშეს ედვარდ ფ. სოუტბის მიუთითა დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ ლონდონში.

ამავე დროს ბრიტანეთის მისიამ აცნობა, რომ მისმა მთავრობამ მითითება მისცა შეეწყვიტა „ბრიტანეთის საბჭოს" საქმიანობა".

აივორ მონტეგიუს წერილი აჩესონისადმი

ლონდონი, 11 მარტი. (საკდეპ). გაზეთმა „დეილი უორკერმა" დაბეჭდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, ინგლისელი კინორეჟისორის აივორ მონტეგიუს წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონისადმი. მონტეგიუს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად უარი ეთქვა შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზაზე.

მონტეგიუ წერს: „იმის ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ გეშინიათ ჩვენი, ბატონო აჩესონ, ის არის, რომ ჩვენ გვასულდგმულებს ისეთი იდეა, რომლის წინაშეც თქვენ გსურთ დახუროთ ამერიკის კარი, — იდეა, რომ მშვიდობა შესაძლებელია".

მონტეგიუ ეხება ამერიკის ოფიციალურ პირთა განცხადებას, რომ ყველა, ვისაც ამ მგზავრობის ვიზის მიღება სურდა, კომუნისტია ან მათი „თანამგზავრია", და წერს: „უკვე დროა შევიგნოთ, რომ ყველა, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის მთელ მსოფლიოში, ამ გზაზე კომუნისტების თანამგზავრია, მაშინაც კი, თუ ისინი სხვა საკითხებში მათ არ ეთანხმებიან.

კომუნისტებს სურთ მშვიდობა. მათ სურთ, რომ ორი სისტემა — კაპიტალიზმი და სოციალიზმი — ერთმანეთის გვერდით არსებობდეს, მაშინ როცა კაცობრიობა თავის უთანხმოებებს უომრად გადაჭრის. მათ სურთ, რომ ნაკლები მატერიალური ღირებულება იხარჯებოდეს შეიარაღებაზე და მეტი — სოციალურ ღონისძიებებსა და მშვიდობიან ხელოვნებაზე. მათ სურთ შეწყდეს ომი, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოში წარმოებს. გარდა ამისა, მათ სურთ, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომური ბომბის და მოსპობის ყველა სხვა საშინელი იარაღის აკრძალვის შესახებ...

ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც, ისევე როგორც ჩვენ, ესწრაფვის ამას, ვინც უნდა იყოს იგი, მარტოდ მოქმედებით წარმატებას ვერ მოიპოვებს. იგი ჩვენს გზას მიჰყვება. როცა იორკის არქიეპისკოპოსი მოუწოდებს — მოწვეულ იქნას კონფერენცია წყალბადის ბომბის საკითხზე, იგი მხარს უჭერს კომუნისტების საქმეს. როცა ამერიკელი კვაკერები მოუწოდებენ — კვლავ ეცადონ ურთიერთგაგების მიღწევას შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის, ისინი იმას ესწრაფვიან, რასაც კომუნისტები.

რას ესწრაფვით თქვენ, ბატონო აჩესონ? ომს? მშვიდობა მთელ მსოფლიოში, კომუნისტების გამოკლებით, მშვიდობა კი არა, ომია. მშვიდობა შეუძლებელია ურუსეთოდ, უჩინეთოდ ან აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნების მიერ მონაწილეობის მიუღებლად, რომლებიც ამჟამად სოციალიზმის გზით მიდიან. თუ მშვიდობა გსურს, ადრე თუ გვიან უნდა მივაღწიოთ მათთან ურთიერთგაგებას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ მუდამ ჰპოულობთ რაიმე საბაბს, რათა შეუძლებელი გახადოთ მოლაპარაკება, რომელსაც შეუძლია ურთიერთგაგების მიღწევა... როცა თქვენმა ფარისეველმა პრეზიდენტმა შეიტყო, რომ სტალინს, რომელიც ტრუმენზე ბევრად უფროსია, არ შეუძლია ზღვით ან ჰაერით მოგზაურობა (იგულისხმება ამხანაგ სტალინის 1949 წლის 2 თებერვლის პასუხი ბ-ნ კინგსბერი სმიტისადმი — რედ. შენიშ.), უარს ამბობს შეხვდეს მას სადმე, გარდა ვაშინგტონისა.

თვით თქვენ კი, — თქვენ, რომელმაც ფარსად გადააქციეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი მუშაობა, როცა დაჟინებით მოითხოვეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაეტოვებინათ ჩან კაი-შის დელეგატი, რომელიც, როგორც თქვენც კი იცით, არავის წარმომადგენელი არ არის, უარს ამბობთ დაიწყოთ მოლაპარაკება ატომურ ბომბზე, თუ ეს მოლაპარაკება ლეიკ-საქსესში არ იქნა. და თქვენ იმ საფუძველზე უკრძალავთ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაციას ხელი მიუწვდეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან, რომ ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ ისეთი თვალსაზრისი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შეიტყონ კონგრესის წევრებმა".

მონტეგიუ აღნიშნავს, რომ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტი წარმოადგენს 600 მილიონი კაცის ორგანიზებულ მოძრაობას მშვიდობის დასაცავად. მის პოლიტიკას მთელ მსოფლიოში განიხილავენ. ბევრი ქვეყნის პარლამენტმა უკვე განიხილა და მიიღო ჩვენი პოლიტიკა, — წერს იგი. ამ კვირაში ჩვენმა წარმომადგენლებმა ჩვენი მიმართვა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. მომავალ კვირაში ისინი ჩვენს მიმართვას გადასცემენ ინგლისის პარლამენტს. მხოლოდ ჰოლანდიამ და თქვენ სთქვით უარი მოგესმინათ ჩვენი აზრი.

„როგორიც უნდა იყოს თქვენი „მშვიდობისმოყვარე" განცხადებანი, მისტერ აჩესონ, შეიარაღება, ბომბების წარმოება და მოლაპარაკებაზე უარის თქმა მშვიდობას კი არა, ომს ნიშნავს. თქვენ გაქვთ საფუძველი ძრწოდეთ. ჩვენ ძლიერი ვართ. ისინი, ვისი სახელითაც ვლაპარაკობთ, ორგანიზებული არიან და მათი რიგები 600 მილიონი კაცისაგან შედგებიან. ხოლო აურაცხელია ის არაორგანიზებული მასები, რომელთა ნებასაც ჩვენ გამოვხატავთ.

როცა ჩვენ მოვუწოდებთ შეიარაღების შემცირებისა და ბომბის აკრძალვისაკენ, მაშინ თქვენ კი არა, ჩვენ გამოვდივართ მთელი კაცობრიობის სახელით. ამ საკითხებში არა მარტო ჩვენი ორგანიზაციის წევრები გვიჭერენ მხარს, არამედ თქვენი ხალხის უმრავლესობაც, მთელი კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობაც. და თქვენ, მისტერ აჩესონ, ვერ დაგვძლევთ, ვინაიდან ჩვენ ტყუილ-უბრალოდ როდი გვიწოდებენ მშვიდობის მომხრეებს. წავიდა ის დრო, როცა ხალხი მორჩილი საზარბაზნე ხორცი იყო. ნიურნბერგის სასამართლო მოელის ომის გამჩაღებლებს! ვერავინ ვერ აიძულებს ხალხს დათანხმდეს თვითმოსპობაზე. დოკერების მოქმედება, რომლებიც ზღვაში ჰყრიან იარაღს, თქვენთვის ავის მომასწავებელია.

მაშ, თქვენ არ გსურთ მოლაპარაკების დაწყება? ჩვენ გაიძულებთ ეს გააკეთოთ".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

პ. ბაქრაძე, ე. ებრალიძე, გ. ქორქაშვილი, საშა, ჰიჰიკო, ნიკოლოზ, მიშა, ალეკო ნამიჩეიშვილები ოჯახებით, თანაგრძნობას უცხადებენ ზ. მახარაშვილს მისი დედის **სალომეს** გარდაცვალების გამო.

პ. ბოკერია, შ. ბულეიშვილი, შ. მარდალეიშვილი, ი. ფოკინი, ვ. ჯღამაძე, ვ. სილაგაძე, ბ. მეგრელიძე, ქ. ლორთქიფანიძე, მ. ჩხენკელი, ნ. აჯიბეგიშვილი, ე. ვაშალომიძე, ი. ლომაძე, თ. გრიგოლია იუწყებიან **ამირან ათანასეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას.

ქეთი, ვასო ცისკარიძეები, ქეთო, ილია ხომერიკი [?]ტარიები, ოლია, ცუცა, ნუნუ, პატარიძეები, ნინო, ელენე კაიშაურები, გოგონა ქუთათელაძე, სალომე ბუზარიაშვილი, ნესტორ და ეპრაქსი სიჭინავები იუწყებიან **ამირან რამიშვილის** გარდაცვალებას.

ქ. ამირაჯიბი, ვ. აბზიანიძე, დ. პურადაშვილი, ქ. გაბუნია, ვ. გალდავაძე, ნ. წულუკიძე, გ. რუხაძე, მ. ბახტაძე იუწყებიან **ამირან ათანასეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-III, 5 ს. ბარნოვის, 30.

მამიდა თამარ, ბიძები სიმონ, გრიგოლ და გიორგი ოჯახებით იუწყებიან **კოტიკო ვასილის-ძე პაიჭაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-III, 5 ს. გრიბოედოვის, 27.

მეუღლე მარია კროტკოვა იუწყება **სერგო ივანეს-ძე კროტკოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 16-III, 5 ს. ბელინსკის, 39.

სავაჭრო ბანკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თ. გელაშვილს მისი დედის **ბარბარე იოსების ასულ გელაშვილის** გარდაცვალების გამო.

გ. ლეჟავა, მ. სვანაძე, ჯ. აბდალაძე, ლ. ლაცაბიძე, ა. ფოცხვერაშვილი, თ. გუჯარელიძე, ნ. მარშანია, მ. ჯავახიშვილი, იუწყებიან ექიმ **ნელი ნიკოლოზის ასულ პატარაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს მთავართევზგასაღების კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ფარცხალაძეს მისი ძმის **დავით მიხეილის-ძე ფარცხალაძის** გარდაცვალების გამო.

ელენე, თამარ, გრიშა თაბუკაშვილები შვილებით რუსუდან, თენგიზ, ოთარ, თამაზ და სულიკოთი იუწყებიან **ანა თაბუკაშვილი-კალანდაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 16-III, 5 ს. ბარნოვის, 131.

გ. ჩაჩხიანი, ა. კვიციანაძე, ნ. დემეტრაშვილი, ნ. ნანეიშვილი, ნ. გოგიბერიძე, ლ. აბულაძე, მ. სვანიძე, ი. ზულიაშვილი, ლ. კალაძე, ს. ჯაში, გ. ცხვედიანი, შ. არუთინოვი თანაგრძნობას უცხადებენ ზ. მახარაშვილს მისი დედის **სალომეს** გარდაცვალების გამო.

ლუბ და ვალიკო ქანთარიები იუწყებიან **ამირან რამიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები თებრო, ევა, გიორგი, შვილიშვილი ნინო, სიძე ვლადიმერ ბასლავსკი იუწყებიან **ბარბარე იოსების ასულ გელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-III ქ. დუშეთში. რევოლუციის ქუჩა № 13.

ი. კაჭაძე, ი. გოგილოვი, ს. გუმბერიძე, გ. გოგილაშვილი, მ. ჯიბლაძე, ბ. გარსევანიშვილი, გ. კოვალენკო ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გ. ფეიქრიშვილს მისი მეუღლის **ვენერას** გარდაცვალების გამო.

მშობლები არუსიაკ, ონანი, მეუღლე ვარა, შვილები გოდერძი, ბორის, გულნარა, ძმები სოლიკო, გრიშა, ლევან მანუჩაროვები იუწყებიან **არამ ონანის-ძე მანუჩაროვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-III, 7 ს. გამოსვენება 16-III, 4 ს. ტაბიძის, 7.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება ამავე ფაბრიკის თანამშრომლის **კოტე პაიჭაძის** გარდაცვალებას.

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. უზნაძეს მისი ძმის **ნოე უზნაძის** გარდაცვალების გამო.

ქალაქ თბილისის სამალარიო-ტროპიკული სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. უზნაძეს მისი მამის **ნოე კონსტანტინეს-ძე უზნაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს გ. ფეიქრიშვილს მისი მეუღლის **ვენერას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვალენტინა, შვილები ნინო, ვახტანგ, ელენე, ძმები აკაკი, ვარლამ ოჯახით, და ვერა მაჯაგალძეები, ელენე, ანატოლი გორდონები იუწყებიან **ბაგრატ იჯანეს-ძე მაჯაგალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-III, 7½ ს. გამოსვენება 16-III, 5½ ს. ორჯონიკიძის, 87.

დედა დესპინე, ძმა კონსტანტინე, რძალი მარო, ძმისწულები აზა, ბუთხუზ იუწყებიან **დავით მიხეილის-ძე ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-III, წულუკიძეში, მოლოტოვის, 60.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73 24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00128

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.